



## საქართველოს საკანონმდებლო სიახლეები იხელმძღვანელებს კანონმდებლობით

### კანონპროექტი „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“

საქართველოს პარლამენტში ინიცირებულია კანონპროექტი „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“, რომლის მიზანია საჯარო და კერძო თანამშრომლობის გამჭვირვალე, ეფექტიანი და თანამედროვე სამართლებრივი და ინსტიტუციონალური ჩარჩოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას და შექმნის ინვესტიციებისათვის მიმზიდველ გარემოს.



კანონპროექტი განსაზღვრავს საჯარო და კერძო თანამშრომლობის სამართლებრივ საფუძვლებს, მათ შორის, საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებულ წესებსა და პროცედურებს, საჯარო და კერძო თანამშრომლობის პრინციპებს, შესაბამის ინსტიტუციურ სისტემას, აგრეთვე საჯარო და კერძო თანამშრომლობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

განსახილველი კანონპროექტის მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს ქვემოთ ჩამოთვლილ კანონებში ცვლილება, კერძოდ:

- „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი
- „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობის და გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონი
- „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი
- „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“



### კანონპროექტი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“

საქართველოს პარლამენტში ინიცირებულია კანონპროექტი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“, რომლის მიზანია დაამკვიდროს საჯარო სექტორში დასაქმებული პირების შრომის ანაზღაურების სამართლიანი, გამჭვირვალე და განჭვრეტადი სისტემა, მოაწესრიგოს შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხები, სახელფასო დანამატის და ფულადი ჯილდოს გაცემის საფუძველი და ზღვრები.

წარმოდგენილი კანონის პროექტი აწესრიგებს საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების განსაზღვრის საკითხებს; ადგენს შესაბამის პირთა ნახევარ განაკვეთზე, ღამის საათებში, დასვენების და უქმე დღეებში მუშაობისას, ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში საქმიანობისას შრომის ანაზღაურების პირობებს. კანონის პროექტის მოქმედება ვრცელდება საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ ნებისმიერ პირზე, მათი დასაქმების სამართლებრივი სტატუსის მიუხედავად.

განსახილველი კანონპროექტის მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს ქვემოთ ჩამოთვლილ კანონებში ცვლილება, კერძოდ:

- „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი
- „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონი
- „შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი

### მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილება

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2012 წლის 1 აგვისტოს მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება შემძენის კეთილსინდისიერების თაობაზე (საქმე #ას-567-535-2012), რომელიც დღემდე ძალაშია და აქტუალური.

სასამართლომ იმსჯელა სამოქალაქო კოდექსის 312-ე, 185-ე მუხლებზე და განმარტა, რომ აღნიშნული მუხლები მოიცავს ისეთ შემთხვევას, როდესაც უძრავი ნივთის გასხვისების ნებას ავლენს რეგისტრირებული მესაკუთრე, მაგრამ მისი საკუთრების უფლება შეცილებულია სხვა, მესამე პირთა მხრიდან, ან არ არის სრულყოფილი, რისი არცოდნაც შემძენის მიერ წარმოგვიჩენს მას (შემძენს) კეთილსინდისიერად. როდესაც საქმე ეხება უძრავი ქონების შემძენას, შემძენს, თავისი უფლების დასამტკიცებლად, შეუძლია დაეყრდნოს რეესტრში რეგისტრირებული ფაქტების სისწორის ვარაუდს, თუნდაც სინამდვილეში უსწორო იყოს რეესტრის მონაცემები. ამ მდგომარეობას არარსებითად აქცევს შემძენის კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, რაც საჯარო რეესტრის ჩანაწერის უსწორობაში გამოიხატება. ერთადერთი, რაც რეესტრის უტყუარობის ფიქციასა და, შესაბამისად, ნივთის შემძენას არღვევს, სწორედ შემძენის არაკეთილსინდისიერებაა. ამ უკანასკნელი საკითხის გამორკვევისას გამოკვლევულ უნდა იქნას შემძენის შესაძლებლობანი რეესტრის არასწორი ჩანაწერის ცოდნასთან, რეგისტრირებული უფლების სადავოობასთან მიმართებით, ან უნდა გაირკვეს შემძენს გონივრული წინდახედულობის ფარგლებში უნდა სცოდნოდა თუ არა სადავო ფაქტი. შემძენის ინტერესების დაცვა უნდა მოხდეს არა მხოლოდ საჯარო რეესტრის მონაცემების გათვალისწინებით, არამედ ნივთის შემძენის ფაქტის მიმართ მისი სუბიექტური დამოკიდებულებით, რამდენად სრულფასოვნად იქნა გამოყენებული მის მიერ შესაძლებლობები გარიგების გაფორმებამდე დაეზღვია გონივრული წინდახედულების ფარგლებში მოსალოდნელი რისკები.

## შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:

### გიორგი თავართქილაძე

საგადასახადო და იურიდიული  
დეპარტამენტის დირექტორი

[gtavartkiladze@deloitte.ge](mailto:gtavartkiladze@deloitte.ge)

### გიორგი ხუროძე

იურიდიული სამსახურის უფროსი

[gkhurodze@deloitte.ge](mailto:gkhurodze@deloitte.ge)



## deloitte.ge

დელოიტი გულსხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წვერი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წვერი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ [www.deloitte.com/about](http://www.deloitte.com/about).

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წვერი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 244 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს ვებრეზებს სოციალურ ქსელებში [Facebook](https://www.facebook.com/deloitte), [LinkedIn](https://www.linkedin.com/company/deloitte), [Twitter](https://twitter.com/deloitte).

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წვერი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებული როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაართოთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წვერი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.

ლ. ასათიანის ქ. 36ა

თბილისი, 0105 საქართველო

@ 2017 შპს დელოიტი და ტუმ. ყველა უფლება დაცულია.